

*დამტკიცებულია
სსიპ -საქართველოს შსს აკადემიის რექტორის
2018 წლის 25 ოქტომბრის N2615998 ბრძანებით*

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის მსმენელის ქცევის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის მსმენელის ქცევის წესი (შემდგომში - ქცევის წესი) განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ტერიტორიაზე და აკადემიის ტერიტორიის გარეთ აკადემიის მსმენელის (შემდგომში - მსმენელი) ქცევის წესებს, უფლებებსა და მოვალეობებს, ქცევის წესის დარღვევაზე რეაგირების საფუძვლებსა და ფორმებს.

მუხლი 2. ქცევის წესის მიზანი

ქცევის წესის მიზანია აკადემიაში სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და მსმენელთა დისციპლინის განმტკიცება. აგრეთვე, მსმენელის პატივის/ღირსების დაცვა და საზოგადოების მხრიდან პატივისცემის გრძნობის ამაღლება.

მუხლი 3. ქცევის წესის გაცნობა

1. აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველო/სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველო ვალდებულია, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე მსმენელს გააცნოს ქცევის წესი, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს მსმენელის ხელმოწერით.
2. მსმენელი უნდა აცნობიერებდეს რა, რომ მისი ქცევა და იერსახე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მის რეპუტაციაზე, არამედ პოლიციის იმიჯზეც, იგი ვალდებულია ზედმიწევნით შეასრულოს ქცევის წესით განსაზღვრული მოთხოვნები.
3. აკადემიაში სწავლის პერიოდში, მსმენელის მიერ ქცევის წესის შესრულებას კონტროლს უწევს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველო/სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველო და ინსტრუქტორები.
4. მსმენელის მიერ ქცევის წესის დარღვევა იწვევს რეაგირების ფორმის შეფარდებას დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. აკადემიის ტერიტორიაზე მსმენელის დაშვება

1. მსმენელს უფლება აქვს ქცევის წესის შესაბამისად შემოვიდეს, გადაადგილდეს და გავიდეს აკადემიის ტერიტორიიდან ქვეითად ან ავტომობილით.
2. აკადემიის ტერიტორიაზე მსმენელის ქვეითად შემოსვლა/გასვლა დასაშვებია პირველი შემოსასვლელის გავლით, მსმენელისათვის განკუთვნილი სპეციალური საშვის გამოყენებით, რომელიც მას გადაეცემა დროებით სარგებლობაში აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილების მიერ (იხ. დანართი N1). მსმენელი ვალდებულია, დროებით სარგებლობის პერიოდში გაუფრთხილდეს საშვს და არ დაუშვას სხვისთვის გადაცემა.
3. აკადემიის ტერიტორიაზე მსმენელის ავტომობილით დაშვება შესაძლებელია, სასწავლო პროცესის დაწყების დღეს, მსმენელის მიერ სწავლების ადმინისტრირების და

- მონიტორინგის განყოფილებისათვის ავტომობილის მარკისა და სახელმწიფო ნომრის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე, ნებართვის შემთხვევაში.
4. აკადემიის ტერიტორიაზე მსმენელის ავტომობილით შემოსვლა/გასვლა დასაშვებია მეორე შემოსასვლელის გავლით. მსმენელი ვალდებულია ავტომობილი გააჩეროს აკადემიის ადმინისტრაციული შენობის უკან არსებულ ავტოსადგომზე (იხ. დანართი N1).
 5. აკადემიის ტერიტორიაზე, მსმენელი (გარდა საბაზისო პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელისა) ვალდებულია ატაროს სამკერდე ნიშანი, რომელზეც აღინიშნება სტატუსი. მსმენელს სამკერდე ნიშანი გადაეცემა სასწავლო პროცესის დაწყების პირველსავე დღეს მისთვის განკუთვნილ სასწავლო აუდიტორიაში. მსმენელი ვალდებულია სწავლის დასრულებისთანავე სამკერდე ნიშანი დააბრუნოს სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილებაში მოწესრიგებულ მდგომარეობაში, დაზიანების გარეშე.
 6. აკადემიის საერთო საცხოვრებლის მომსახურებით მოსარგებლე მსმენელი ვალდებულია საერთო საცხოვრებელში დაბრუნდეს 23:00 საათამდე.
 7. მსმენელი ვალდებულია აკადემიის ტერიტორიაზე შემოსვლისას (გადაადგილებისას) ეკეთოს დამცავი პირბადე და გაიაროს თერმოსკრინინგი, ხოლო შენობაში შესვლისას გაიაროს დეზობარიერი და ხელები დაიმუშავოს სადეზინფექციო ხსნარით.

მუხლი 5. იარაღის შემოტანა

1. მსმენელს ეკრძალება იარაღის (ცეცხლსასროლი, ცივი), ფეთქებადსაშიში, ადვილადააღებადი ნივთიერებების აკადემიის ტერიტორიაზე შემოტანა/გავრცელება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამსახურებრივ-სამშატო იარაღი აკადემიის ტერიტორიაზე შემოაქვს სასწავლო მიზნებისათვის;
2. კუთვნილი იარაღი ინახება აკადემიის პირველ შემოსასვლელში სპეციალურ კარადაში.

მუხლი 6. საბაზისო პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელის აკადემიის ტერიტორიაზე გადაადგილება

1. მსმენელები ვალდებულნი არიან აკადემიის ტერიტორიაზე გადაადგილდნენ ჯგუფურად, მწყობრში, 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით.
2. იმ შემთხვევაში, თუ მსმენელს უწევს მარტო გადაადგილება, იგი ვალდებულია სამწყობრო ნაბიჯებით შეძლებისდაგვარად მოკლე დროში შეუერთდეს ჯგუფს.
3. დიდი შესვენების დროს, კვების დასრულების შემდეგ, მსმენელები სასადილოს ტოვებენ ჯგუფურად და სამწყობრო ნაბიჯებით გადაადგილდებიან აუდიტორიაში.
4. მსმენელს, თუ განსაზღვრულ დროზე ადრე დაასრულებს გამოცდას, უფლება აქვს დატოვოს საგამოცდო სივრცე.
5. აკადემიის ტერიტორიაზე, მსმენელი აკადემიის მოსამსახურეებს, მოწვეულ სტუმრებსა და მსმენელებს ესალმება მხედრული საღმით.
6. აკადემიის ტერიტორიის დატოვების უფლება მსმენელს აქვს დიდი შესვენების დროს, მხოლოდ რექტორის წერილობითი თანხმობით.

მუხლი 7. ეთიკური სტანდარტები

1. მსმენელს ეკრძალება:
 - 1.1. აკადემიის ტერიტორიაზე აზარტული თამაშის მოწყობა ან/და მასში მონაწილეობა (მათ შორის, ინტერნეტსივრცეში);
 - 1.2. აკადემიის ტერიტორიაზე გინება, უცენზურო სიტყვების ხმამაღლა წამოძახება. ხმაური 22:00 საათის შემდეგ, აკადემიის საერთო საცხოვრებლის საერთო სივრცეებსა და ნომრებში;
 - 1.3. აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი პირის მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის, სახელის, ღირსების, პატივის ან/და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ქმედება;

- 1.4. აკადემიის ტერიტორიის გარეთ ისეთი ქმედება, რამაც შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს როგორც მსმენელის, ისე აკადემიის და პოლიციის რეპუტაციაზე;
- 1.5. უხეში დამოკიდებულება, შეურაცხყოფა ან ცილისწამება მსმენელის, აკადემიის მოსამსახურის მიმართ;
- 1.6. წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა;
- 1.7. ალკოჰოლური სასმელის/ნარკოტიკული საშუალების შემოტანა, მოხმარება ან/და აკადემიის ტერიტორიაზე ალკოჰოლური/ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ყოფნა;
- 1.8. მსმენელის ფორმაში გადაღებული შეუფერებელი ფოტო/ვიდეოს გამოქვეყნება სოციალურ ქსელში;
- 1.9. დისკრიმინაციული ხასიათის, ადამიანის სახელის, ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელება;
- 1.10. საგამოცდო საკითხების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის, სათანადო ნებართვის გარეშე მოპოვება, გამოყენება ან/და გავრცელება;
- 1.11. შეფასების კომპონენტებში ქულის დაუმსახურებლად მომატების მიზნით აკადემიის მოსამსახურისათვის ნებისმიერი სახით (ტელეფონით, ელ-ფოსტით და სხვ.) მიმართვა, მათზე ნებისმიერი სახით ზემოქმედების მოხდენის მცდელობა;
- 1.12. აკადემიური სიყალბის ჩადენა (ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა; სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა ან/და ინსტრუქტორის შეცდომაში შეყვანა ან შეცდომაში შეყვანის მცდელობა) ან სხვა მსმენელისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;
- 1.13. აკადემიის დოკუმენტების/ჩანაწერების, მონაცემების განადგურება, გადაკეთება ან/და შეცვლა;
- 1.14. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის ხელის შეშლა.
2. მსმენელის კვება დასაშვებია აკადემიის სასადილოში.

მუხლი 8. მსმენელის ფორმა

1. საბაზისო პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელი ვალდებულია ატაროს მსმენელის ფორმის ტანსაცმელი მოწესრიგებულ მდგომარეობაში. მსმენელის ფორმის მისურთან ერთად დასაშვებია მხოლოდ მუქი ფერის შარვლის და ფეხსაცმლის ტარება. მსმენელი ვალდებულია შენობაში შესვლისას მოიხადოს მსმენელის ფორმის კეპი.
2. არასაბაზისო პროგრამის მსმენელი ვალდებულია აკადემიაში გამოცხადდეს და იმყოფებოდეს მოწესრიგებულ მდგომარეობაში, შესაბამისად ჩაცმული (კლასიკური სტილის შარვალი, ქვედაბოლო, კაბა, ფეხსაცმელი, პერანგი საყელოთი).
3. დაუშვებელია მსმენელის არასათანადო ჩაცმულობით (არასათანადო ჩაცმულობად ითვლება – უჩვეულო ტანსაცმელი, შეუსაბამო აღჭურვილობა/მორთულობა და სხვა, რაც იქცევს არასათანადო ყურადღებას), არასათანადო მაკიაჟით ან/და მოუწესრიგებელ მდგომარეობაში (გაუპარსავი წვერი, გრძელი თმის არსებობის შემთხვევაში გაშლილ მდგომარეობაში) ყოფნა.
4. საბაზისო პროგრამის მსმენელი ვალდებულია სპორტულ აქტივობებზე გამოცხადდეს და იმყოფებოდეს მსმენელის სპორტული ფორმით.
5. დაუშვებელია მსმენელის ფორმის, მათ შორის, სპორტული ფორმის ტარების წესის დარღვევა (მაგ., თვითნებური შეცვლა, ფორმის კომპლექტის დარღვევა, ფორმის გარეშე გამოუცხადებლობა).

მუხლი 9. მსმენელთა მოწყობა

1. მსმენელი ვალდებულია დაესწროს მოწყობას და დაემორჩილოს აკადემიის მოსამსახურეთა მითითებებს/დავალებებს.
2. მსმენელთა მოწყობა იწყება 9:30 საათზე, აკადემიის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილას (გარდა სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველოს მსმენელებისა).
3. მოწყობაზე მოწმდება მსმენელის გარეგნული იერსახე და ჰიგიენა. დარღვევის შემთხვევაში, მსმენელი იხსნება მოწყობიდან დარღვევის აღმოფხვრამდე.
4. არასაბაზისო პროგრამის მსმენელს მოწყობაზე დასწრების ვალდებულება შეიძლება წარმოეშვას გამონაკლის შემთხვევებში, სათანადო საფუძვლის არსებობისას.

მუხლი 10. ჯგუფის ოცმეთაური

1. ოცმეთაური არის ჯგუფის მიერ შერჩეული მსმენელი, რომელიც წარმოადგენს აკადემიის პერსონალსა და ჯგუფს შორის შუამავალ რგოლს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლაზე, პასუხისმგებელია ჯგუფში დისციპლინის დაცვაზე.
2. ოცმეთაური კონტროლს უწევს:
 - 2.1. ჯგუფისთვის გამოყოფილ სასწავლო აუდიტორიას, სადაც ტექნიკური თუ სხვა სახის გაუმართაობის შემთხვევაში ინფორმაციას აწვდის სასწავლო განყოფილებას;
 - 2.2. მსმენელების მიერ სასწავლო და საკანცელარიო საჭირო ნივთების ქონას;
 - 2.3. ჟურნალში აღრიცხვას;
 - 2.4. მსმენელების მიერ სასწავლო აუდიტორიაში 2 მეტრიანი დისტანციის დაცვას.
3. ოცმეთაური უზრუნველყოფს:
 - 3.1. აუდიტორიისა და სეიფის გასაღების შენახვას სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;
 - 3.2. ლექტორის დაგვიანების შესახებ, სასწავლო განყოფილების დაუყოვნებლივ ინფორმირებას;
 - 3.3. აკადემიის ტერიტორიაზე ჯგუფის მწყობრით გადაადგილებას;
 - 3.4. სასწავლო განყოფილებისათვის მიმართვას, ლექტორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და ელექტრონული სწავლების პორტალზე არსებული სასწავლო მასალის შეუსაბამობის შემთხვევაში;
 - 3.5. ქცევის წესით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

მუხლი 11. ლექციაზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე, მოწყობაზე, სპორტულ აქტივობაზე, ჩათვლასა და გამოცდაზე დაგვიანება/გაცდენა

1. მსმენელის მიერ ლექციაზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე, მოწყობაზე, სპორტულ აქტივობაზე, ჩათვლასა და გამოცდაზე დაგვიანებით შესვლა განიხილება, როგორც სალექციო დროის 1 აკადემიური საათის გაცდენა.
2. ლექციაზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე, მოწყობაზე, სპორტულ აქტივობაზე, ჩათვლასა და გამოცდაზე დაგვიანების/გაცდენის შესახებ მსმენელმა პატაკით უნდა აცნობოს გაცდენის დრო და მიზეზი პროფესიული მომზადების სამმართველოს/სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველოს უფროსს. მსმენელი ვალდებულია გაცდენილი საათების შესახებ წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა, რის საფუძველზეც მას მიეცემა სწავლის გაგრძელების უფლება. გაცდენისა და დაგვიანების შესახებ მსმენელი პატაკის დაწერამდე ტელეფონით აცნობებს სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილებას.
3. საპატიო მიზეზად მიიჩნევა დაოჯახება, შვილის შეძენა, უბედური შემთხვევა, ოჯახის წევრის (დედა, მამა, და/ძმა, მეუღლე, შვილი, ბებია და ბაბუა) ავადმყოფობა, გარდაცვალება, სასამართლო პროცესზე გამოცხადება.

4. მსმენელს უფლება აქვს შესაბამისი ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში, გააცდინოს პროგრამის/კურსის/ტრენინგის ხანგრძლივობის 10%.
5. მსმენელს უფლება აქვს არასაპატიო მიზეზით გააცდინოს 1 (ერთი) აკადემიური საათი.

მუხლი 12. ქვიზის/ჩათვლის/გამოცდის ჩატარებისას მსმენელის ქცევის წესი

1. 15 წუთზე მეტი დროით დაგვიანებული მსმენელი ქვიზზე/ჩათვლაზე/გამოცდაზე არ დაიშვება და შესაბამის კომპონენტში შეფასდება ნული ქულით. დაგვიანებით მოსულ მსმენელს გაცდენილი საგამოცდო დრო არ აუნაზღაურდება.
2. ქვიზის/ჩათვლის/გამოცდის მიმდინარეობისას აკრძალულია:
 - 2.1. საგამოცდოში, თავფურცლის გარდა, სახელის, გვარის, ან სხვა რაიმე სახის მინიშნება მსმენელის ვინაობის ამოსაცნობად;
 - 2.2. საუბარი, გადალაპარაკება, სხვის ნამუშევარში ყურება;
 - 2.3. ხმამაღლა შეკითხვის დასმა. შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, მსმენელმა ხელის აწევით უნდა ანიშნოს და დაელოდოს აკადემიის მოსამსახურეს/დამკვირვებელს;
 - 2.4. კონსპექტიდან, ან წინასწარ მომზადებული სხვა მასალიდან, ინტერნეტიდან გადაწერა (გარდა წინასწარ დაშვებული საშუალებების გამოყენებისა), სხვისთვის დახმარების გაწევა და/ან ასეთის მიღება სასურველი შედეგის მიღების მიზნით;
 - 2.5. მობილური ტელეფონის ქონა, ქცევის წესის მე-13 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით;
 - 2.6. საგამოცდო/ჩათვლის საკითხებზე მუშაობის დასრულებამდე, დამკვირვებლის წინასწარი თანხმობის გარეშე საგამოცდო აუდიტორიის/ჩათვლის ადგილის დატოვება.
3. მსმენელი ამ მუხლის 2.2. და 2.3. ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთხელ გაფრთხილების შემდეგ განმეორებითი ქმედებისას, ან სხვა მოთხოვნების დარღვევის პირველივე შემთხვევაში, მოიხსნება გამოცდიდან გამოცდის აღდგენის უფლების გარეშე. მისი ნამუშევარი არ შეფასდება, ხოლო შეფასების გრაფაში მიეთითება 0 ქულა.
4. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს დარღვევის აღმოჩენი და მსმენელი. მსმენელის მიერ ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმზე კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. გამოცდის მსვლელობიდან გამომდინარე, დამკვირვებელს უფლება აქვს ოქმი გააფორმოს გამოცდის დასრულების შემდეგ.
5. გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, მსმენელი ვალდებულია დამკვირვებლის მითითებისთანავე დატოვოს აუდიტორია. დამკვირვებლის მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს ქცევის წესის დარღვევას და იწვევს რეაგირების ფორმის შეფარდებას დადგენილი წესის შესაბამისად.
6. საგამოცდო საკითხებზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მსმენელი ვალდებულია ნაშრომი ჩააბაროს დამკვირვებელს. ნაშრომი, რომელზეც არ იქნება მითითებული მსმენელის სახელი და გვარი, არ შეფასდება.
7. მსმენელს უფლება აქვს, ჩათვლაზე/გამოცდაზე საპატიო მიზეზით (მაგ.: დაოჯახება, შვილის შექმნა, უბედური შემთხვევა, ოჯახის წევრის (დედა, მამა, და/მმა, მეუღლე, შვილი, ბებია და ბაბუა) ავადმყოფობა, გარდაცვალება, სასამართლო პროცესზე გამოცხადება) არ გამოცხადების შემთხვევაში აღადგინოს ჩათვლა/გამოცდა.
8. ჩათვლის/გამოცდის აღდგენის უფლების მოსაპოვებლად, მსმენელმა ჩათვლის/გამოცდის დაწყებამდე უნდა დარეკოს, ან სხვა გზით აცნობოს პროფესიული მომზადების სამმართველოს/სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველოს გამოუცხადებლობის შესახებ და მიუთითოს გაცდენის მიზეზი. დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში, მსმენელი წერს დასაბუთებულ პატაკს/ახსნა-განმარტებას, რასაც გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაერთოს შესაბამისი მტკიცებულება. განსაკუთრებული შემთხვევა განიხილება რექტორის მიერ.

9. გაცდენილი ქვიზის აღდგენა დაუშვებელია.
10. ჩათვლის/გამოცდის საპატიოდ გაცდენის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, მსმენელმა ჩათვლა/გამოცდა უნდა აღადგინოს გაცდენიდან არაუმეტეს 4 კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ გამოუცხადებლობის მიზეზი და ჩათვლის/გამოცდის ფორმატი არ ზღუდავს მას ჩააბაროს ჩათვლა/გამოცდა საკუთარი ადგილსამყოფელის მიხედვით, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გასვლითი ჩათვლის/გამოცდის ჩატარება, აგრეთვე გაცდენილი ჩათვლის/გამოცდის განსხვავებულ ვადაში აღდგენა.
11. შეგნებულად ცრუ ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში მსმენელს უწყდება მსმენელის სტატუსი.
12. ჩათვლის/გამოცდის აღდგენის შემთხვევაში, ზედიზედ ორჯერ ერთსა და იმავე სასწავლო კურსში/მოდულში მსმენელის გამოუცხადებლობა უფლებას ართმევს მას, მოითხოვოს ჩათვლის/გამოცდის ხელახალი ორგანიზება.
13. დასკვნითი გამოცდის/ჩათვლის აღდგენის შემთხვევაში, მსმენელი გამოცდაზე/ჩათვლაზე გადის საერთო წესით.
14. დასკვნით გამოცდაზე 25 ქულაზე ნაკლების მიღების შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში თუ, მსმენელი ვერ გადალახავს სასწავლო კურსისათვის/მოდულისათვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს, მსმენელს ერთჯერადად ეძლევა უფლება გადააბაროს დასკვნითი გამოცდა, თუ მას ჯამურად დაგროვებული აქვს 40 ქულა და მეტი (ჯამური ქულების გამოთვლაში, დასკვნითი გამოცდის გადაბარების მიზნებისთვის, შედის დასკვნითი გამოცდის შედეგიც, მიუხედავად ბარიერის ვერგადალახვისა).
15. ჩათვლაში უარყოფითი შედეგის დადგომის შემთხვევაში, მსმენელს გადაბარების უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ. „სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამის“ მსმენელი უფლებამოსილია პატაკით მიმართოს აკადემიის რექტორს და მოითხოვოს ჩათვლის გადაბარება არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.
16. გამოცდის/ჩათვლის გადაბარების დღეს ნიშნავს პროფესიული მომზადების სამმართველო/სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველო კურატორ პრორექტორთან შეთანხმებით.
17. საპატიო მიზეზით გამოცდის/ჩათვლის გადაბარებაზე არგამოცხადების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს აღადგინოს იგი მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 13. ელექტრონული მოწყობილობებით/მობილური ტელეფონით სარგებლობა

მსმენელი ვალდებულია სასწავლო პროცესის (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, მოწყობა, სპორტული აქტივობა, ჩათვლა და გამოცდა) დაწყებამდე კუთვნილი ელექტრონული მოწყობილობები/მობილური ტელეფონი გამორთულ მდგომარეობაში დატოვოს მისი ჯგუფისთვის განკუთვნილ სეიფში და აიღოს იგი სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსმენელი ვალდებულია ინსტრუქტორის მითითებისთანავე დატოვოს აუდიტორია და დაწეროს პატაკი. ამ საფუძვლით გაცდენილი სალექციო საათები ჩაითვლება არასაპატიოდ.

მუხლი 14. სამედიცინო დახმარება

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში, მსმენელი ვალდებულია მიმართოს აკადემიის ექიმს საჭირო პირველადი დახმარების მისაღებად. აკადემიის ექიმი ვალდებულია გასცეს შესაბამისი ცნობა, რომელსაც გააჩნია ერთი დღის მოქმედების ვადა.
2. აკადემიის ტერიტორიის გარეთ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან ფიზიკური დაზიანების მიღების შემთხვევაში, მან უნდა შეატყობინოს ჯგუფის ოცმეთაურს, ხოლო სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილებაში წარმოადგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. თავის მხრივ, ჯგუფის ოცმეთაური ვალდებულია მიღებული ინფორმაცია მიაწოდოს სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილებას.
3. აკადემიის საერთო საცხოვრებელში განთავსებული მსმენელი, არასამუშაო დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან ფიზიკური დაზიანების მიღების შემთხვევაში, მიმართავს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და ატყობინებს მორიგეს.

მუხლი 15. ტაქტიკური და საცეცხლე მომზადების უსაფრთხოების წესები

1. მსმენელი ვალდებულია საცეცხლე ტირში:
 - 1.1. დაიცვას ცეცხლსასროლ იარაღთან უსაფრთხო მოპყრობის წესები;
 - 1.2. მოუსმინოს და შეასრულოს ინსტრუქტორის ბრძანებები;
 - 1.3. სროლის დროს არ გადაკვეთოს სროლის ხაზი და არ მიატოვოს სასროლი პოზიცია;
 - 1.4. მიმართოს იარაღის ლულა სამიზნე ფარის მიმართულებით;
 - 1.5. გამოიყენოს დამცავი სათვალე და ყურდამცავი საშუალებები სროლის დროს;
 - 1.6. არ ესროლოს მყარ ზედაპირს;
 - 1.7. მოეპყროს იარაღს როგორც დამუხტულს და შეამოწმოს იარაღი ადებისთანავე;
 - 1.8. იქონოს თითი სასხლეტს გარეთ და არ შეიტანოს სასხლეტზე გასროლამდე;
 - 1.9. იქონიოს იარაღი განმუხტულ მდგომარეობაში იარაღის გამოყენებამდე;
 - 1.10. არ დაუმიზნოს იარაღი ადამიანს ან სხვა ობიექტს (გარდა სამიზნე ფარისა);
 - 1.11. შეისწავლოს იარაღის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები;
 - 1.12. სროლის დაწყების წინ შეამოწმოს ლულის არხი;
 - 1.13. სასხლეტზე დაწოლის დროს თუ არ მოხდა გასროლა დატოვოს ლულა მიმართული სამიზნესკენ რამოდენიმე წამის განმავლობაში და შემდეგ განმუხტოს იარაღი;
 - 1.14. არ დატოვოს იარაღი ყურადღების გარეშე და არ გადასცეს იგი სხვას;
 - 1.15. არ დაშალოს იარაღი თვითნებურად;
 - 1.16. შეისწავლოს გარემო რადგან სროლისას (გადაადგილებაში) არ დაკარგოს წონასწორობა და არ დაზიანოს შემთხვევითი ობიექტი.
2. მსმენელი ვალდებულია სპორტულ დარბაზში:
 - 2.1. შევიდეს სპორტული ფორმით;
 - 2.2. შევიდეს ტატამზე სპორტული ფეხსაცმლით ან ფეხშიშველი;
 - 2.3. გამოიყენოს სავარჯიშო ატრიბუტიკის დამცავი ეკიპირება (სათვალე, სამუხლე, სამკლავური და სხვა);
 - 2.4. არ დატოვოს დარბაზში ტანსაცმელი (გამოსაცვლელი) და პირიდი ნივთები;
3. სპორტულ დარბაზში იკრძალება თვითნებური ვარჯიში, ჭიდაობა ან საბრძოლო ილეთების შესრულება ინსტრუქტორის მეთვალყურეობის გარეშე.

მუხლი 16. სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა

1. მსმენელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დამატებით სპორტულ აქტივობებში და ამ მიზნით ისარგებლოს აკადემიის სასპორტო ინფრასტრუქტურით.
2. მსმენელი ვალდებულია დამატებით სპორტულ აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად გაიაროს რეგისტრაცია სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილებაში.
3. არასაპატიო მიზეზით 3-ჯერ გაცდენის შემთხვევაში, უქმდება მსმენელის რეგისტრაცია.

მუხლი 17. თამბაქოს მოხმარება

აკადემიის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა დასაშვებია მხოლოდ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

მუხლი 18. აკადემიის ინფრასტრუქტურა

1. მსმენელი ვალდებულია გაუფრთხილდეს აკადემიის ქონებას, იერსახეს და დაიცვას სისუფთავე აკადემიის ტერიტორიაზე.
2. აკადემიის ქონების დაზიანების თაობაზე, მსმენელი დაუყოვნებლივ ატყობინებს ჯგუფის ოცმეთაურს, რომელიც თავის მხრივ, საქმის კურსში აყენებს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს/სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველოს, ხოლო საერთო საცხოვრებლის ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში, მსმენელი დაუყოვნებლივ ატყობინებს საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორს ან აკადემიის სამორიგოს (ჯგუფი).
3. მსმენელს ეკრძალება, საერთო საცხოვრებელში არსებული ინვენტარის თვითნებურად გადაადგილება/გადატანა.

მუხლი 19. ქცევის წესის დარღვევაზე რეაგირების საფუძვლები

1. ქცევის წესით განსაზღვრულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა მსმენელისთვის რეაგირების ფორმის შეფარდების საფუძველია.
2. რეაგირების ფორმის შეფარდების საფუძველი შეიძლება გახდეს ისეთი შეუფერებელი ქმედება, რომელიც ქცევის წესით განსაზღვრული არ არის, მაგრამ ობიექტური გამოკვლევის შედეგად ამართლებს მსმენელისთვის რეაგირების ფორმის შეფარდებას.

მუხლი 20. რეაგირების ფორმის შეფარდება

1. ქცევის წესის დარღვევის ფაქტების შესწავლა და მსმენელისათვის რეაგირების ფორმის შეფარდება ხდება წინამდებარე ქცევის წესის შესაბამისად.
2. რეაგირების ფორმის შეფარდება უნდა მოხდეს დარღვევის შინაარსისა და სიმძიმის, შედეგების, აგრეთვე ჩადენის გარემოებებისა და მსმენელის პიროვნების გათვალისწინებით.
3. ქცევის წესის დარღვევის საკითხს შეისწავლის კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
4. მსმენელისათვის ქცევის წესით განსაზღვრული რეაგირების ფორმის შეფარდების შესახებ საკითხის აღმგრის უფლება აქვს აკადემიის ნებისმიერ მოსამსახურეს დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში.
5. პატაკი მსმენელის მიერ ქცევის წესის დარღვევის შესახებ იწერება უფლებამოსილი პირის მიერ და წარედგინება რექტორს, რომელიც საკითხს განსახილველად გადასცემს დარღვევაზე რეაგირების კომისიას.
6. დარღვევაზე რეაგირების წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს მსმენელის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საფრთხეს

- უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, აკადემიის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.
7. დარღვევაზე რეაგირების პროცესში მსმენელს უფლება აქვს:
 - 7.1. მიიღოს შეტყობინება მის მიმართ წარმოების დაწყების შესახებ;
 - 7.2. მონაწილეობა მიიღოს საკითხის განხილვაში და მისცეს ახსნა-განმარტება.
 8. დარღვევაზე რეაგირების კომისია, დარღვევის საკითხის შესწავლის საფუძველზე, იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მსმენელის მიმართ ქცევის წესით განსაზღვრული რეაგირების ფორმის შეფარდების შესახებ.
 9. კომისიის სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის სხდომაში მონაწილე წევრები და მდივანი.
 10. დარღვევაზე რეაგირების კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, აკადემიის რექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ქცევის წესის დარღვევაზე რეაგირების ფორმის შეფარდების შესახებ და გამოსცემს ბრძანებას.

მუხლი 21. ქცევის წესის დარღვევაზე რეაგირების ფორმები

1. ქცევის წესის დარღვევაზე რეაგირების ფორმებია:
 - 1.1. არამართლზომიერად მიღებული შეფასების გაუქმება;
 - 1.2. გაფრთხილება;
 - 1.3. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა.
2. არამართლზომიერად მიღებული შეფასების გაუქმება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც რეაგირების დამატებითი ფორმა სხვა ძირითად ფორმასთან ერთად.
3. ქცევის წესის დარღვევაზე რეაგირების ნემისმიერი ფორმის შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ რექტორის ბრძანებით.
4. მსმენელის მიერ აკადემიის კუთვნილი ქონების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების, დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი სრული მოცულობით, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუწყდება მსმენელის სტატუსი. ზიანის ანაზღაურება არ გამოირიცხავს ქცევის წესის დარღვევაზე რეაგირების სხვა რომელიმე ფორმის შეფარდებას.
5. მსმენელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, მსმენელს უწყდება სტატუსი.
6. ქცევის წესის დარღვევაზე რეაგირების ფორმის - გაფრთხილების ვადა მოქმედებს მსმენელის სტატუსის შეწყვეტამდე.

დანართი N1



შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის ბრძანება 13.03.2019 N641401
2. რექტორის ბრძანება 12.08.2019 N2130760
3. რექტორის ბრძანება 02.09.2019 N2324270
4. რექტორის ბრძანება 30.10.2019 N2900352
5. რექტორის ბრძანება 26.11.2019 N3168178
6. რექტორის ბრძანება 02.07.2020 N1482625
7. რექტორის ბრძანება 27.08.2020 N2006329
8. რექტორის ბრძანება 12.10.2020 N2427183